

რუსუდან გვილაგა, ირმა რუსაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

rusudang@gmail.com; irmarusadze@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.15>

ეკონომიურობის პრინციპის მოქმედება ენაში ფონეტიკა-ფონოლოგიის დონეზე (ინგლისური და ქართული ენების მაგალითზე)

საკვანძო სიტყვები: ეკონომიურობის პრინციპი, ფონეტიკა-ფონოლოგია

გაბმული მეტყველება არსებითი და თანაც მეცნიერულად საინტერესო ფენომენია ენაში. იგი მჭიდრო კავშირშია ენის ეკონომიურობის პრინციპთან. სწორედ სწრაფ გაბმულ მეტყველებაში მიმდინარე ფონეტიკური პროცესები კარგად ასახავს ენის სწრაფვას მარტივად და დროის დაზოგვით გადასცეს ადრესატს ინფორმაცია.

ტერმინი **გაბმული მეტყველება (Connected speech)** გულისხმობს ლინგვისტურ ერთეულთა უწყვეტ თანმიმდევრობას.

ტრადიციული ლინგვისტიკა, კერძოდ ფონეტიკა, ძირითადად ორიენტირებული იყო ცალკეული ფონემების, სიტყვის ან ფრაზების შესწავლაზე და მათ შიგნით მიმდინარე ფონეტიკურ პროცესებზე. თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში კი ენის ფუნქციონალურმა ასპექტმა წამოიწია წინ, კვლევის ობიექტი გახდა ტექსტი და მის შიგნით მიმდინარე პროცესები.

ჩვენ მიზნად დავისახეთ, შეპირისპირებით ასპექტში გამოგვეკვლია ეკონომიურობის პრინციპის მოქმედება ორ არამონათესავე და სტრუქტურულად განსხვავებულ ენებში - ქართულსა და ინგლისურში და დაგვედგინა თუ რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის ამ კუთხით.

ზეპირი მეტყველებისას ჩვენ გვეძლევა ბგერათა ნაკადი, სადაც ბგერებსა და სიტყვებს შორის საზღვრები მკვეთრად გამოხატული არ არის. ავიღოთ ასეთი ფრაზები:

Say it - თქვი ეგ

how is - როგორ არის

I will ask - მე ვიკითხავ

a cup of tea - ფინჯანი ჩაი

Do you know? - იცით?

გაბმულ მეტყველებაში ეს ფრაზები წარმოითქმის როგორც ერთი სიტყვა. ბგერები ურთიერთმეზობლობაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ხშირად ძალიან დიდია სხვაობა ცალკე წარმოთქმულ სიტყვებსა და მათი გაბმულ მეტყველებაში, სხვა სიტყვათა კონტექსტში წარმოთქმისას.

გაბმული მეტყველების ასპექტების შესწავლა საშუალებას გვაძლევს ავხსნათ რატომ არის ასეთი დიდი განსხვავება ზეპირ და წერილობით ინგლისურ ენას შორის. გაბმული მეტყველება არ არის უბრალოდ ერთიმეორის მიმდევრობით დალაგებული სიტყვათა რიგი, რადგანაც მასში შემავალი თითოეული სეგმენტი განსაზღვრულ ფონეტიკურ გარემოში ექცევა და ეს სეგმენტები ურთიერთზემოქმედებას განიცდის. გარდა ამისა, გაბმულ მეტყველებას თავისი რიტმიც ახასიათებს, რაც ინგლისური ენისათვის არსებითია. ამ დროს სიტყვები ერთმანეთს ეჯახება და სიტყვათგასაყარზე (ერთი სიტყვის ბოლოს და მომდევნო სიტყვის დასაწყისში) თავს იჩენს ცვლილებები, რაც გარკვეულ ფონეტიკურ მოვლენებს უკავშირდება. ცვლილებები შეიძლება მოხდეს აგრეთვე სიტყვის შიგნითაც,

განსაკუთრებით უმახვილო პოზიციაში. მინიმალური არტიკულაციის გამო გაბმულ მეტყველებაში შეიძლება გვექონდეს ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერის დასუსტება ან ამოვარდნა, ბგერის ჩამატება, ბგერათშერწყმა და ა.შ. მათი ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ მოქმელსა და მსმენელს შორის სწორი კომუნიკაცია შედგეს.

ზოგიერთი ინგლისური ენის მასწავლებელი და შემსწავლელიც მიიჩნევს, რომ ილაპარაკო ინგლისურად კარგად, ნიშნავს გამოიყენო ფორმალური, სტანდარტული ენა. ხოლო სიტყვათა სუსტი თუ შემოკლებული ფორმების გამოყენება, ბგერის ამოვარდნა, დამაკავშირებელი ბგერის ჩამატება, ასიმილაცია და მსგავსი ფონეტიკური ცვლილებების გამოყენება დაუდევრობის ან სიზარმაცის ნიშანია. იმასაც ამბობენ, რომ სასაუბრო სტილით მეტყველება მიუთითებს, რომ მოსაუბრე დაბალი კლასის წარმომადგენელია, დაბალი სტატუსის მქონეა. როგორც პიტერ ლეიდ ფოგედი წერს (Ladefoged, 2000, გვ.93), „ეს მცდარი შეხედულებაა გაბმულ მეტყველებაზე. სასაუბრო მეტყველება არ შეიძლება მივიჩნიოთ არაპრესტიჟულად, არასტანდარტულად. მშობლიურ, ინგლისურ ენაზე მოსაუბრე განათლებული ადამიანები სასაუბრო ენას იყენებენ არაფორმალურ სიტუაციებში, მაგალითად, მეგობრებთან, კოლეგებთან, ოჯახის წევრებთან. ზოგჯერ ენის შემსწავლელთათვის ძნელია იმის გააზრება, რომ გარკვეულ სიტუაციებში სასაუბრო მეტყველება უფრო მიღებულია, ვიდრე ფორმალური“ (Richards, Pratt and Pratt, 1993, გვ.63).

სწრაფ მეტყველებაში მიმდინარე ფონეტიკურ პროცესებს საფუძვლად უდევს ენის მიდრეკილება „ეკონომიურობისაკენ“, რაც იმას ნიშნავს, რომ გაბმულ მეტყველებაში მიმდინარე ყველა ბგერათცვლილება, ეს იქნება სიტყვის შიგნით თუ სიტყვათ-გასაყარზე, მიზნად ისახავს ზეპირი მეტყველების გამარტივებას, წარმოთქმის გაიოლებას.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ინგლისურ ენაში გაბმული მეტყველებისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ასპექტს.

1. ბგერათა დასუსტება/ამოვარდნა

ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი რიტმი უცილობლად გულისხმობს ტექსტის დაყოფას რიტმულ ჯგუფებად, რომელთა გამოყოფა ეფუძნება მახვილიან და უმახვილო მარცვალთა დაჯგუფების პრინციპს, რომლის მიხედვითაც უმახვილო მარცვლები მიეზმიან მახვილიან მარცვლებს და რიტმულ ერთეულებს ქმნიან. ეს რიტმული ერთეულები ერთი და იმავე დროის მონაკვეთში წარმოითქმის.

ინგლისურ ზეპირ მეტყველებაში როცა უმახვილო და მახვილიანი მარცვლები ერთ რიტმულ ჯგუფში ექცევა, სიტყვები ერთმანეთს ეჯახება, რაც იწვევს გარკვეულ ფონეტიკურ პროცესებს და ეს ხდება სიტყვათგასაყარზე - სიტყვის ბოლოს და მომდევნო სიტყვის დასაწყისში. მაგალითად, ზოგიერთი ბგერა განიცდის დასუსტებას და ზოგჯერ საერთოდ ამოვარდება, იკარგება. ინგლისურში ასეთია ძირითადად, დამხმარე სიტყვები, როგორიცაა: არტიკლი, დამხმარე, მაკავშირებელი და მოდალური ზმნები, ზოგიერთი ნაცვალსახელი, კავშირი, ნაწილაკი, წინდებული. ეს ის სიტყვებია, რომლებიც უმეტესწილად მახვილს არ ატარებს. მიახლოებით ასეთი სიტყვების რიცხვი ინგლისურ ენაში 50-მდეა. მოვიტანთ რამოდენიმე მაგალითს:

სიტყვა	ძლიერი ფორმა	სუსტი ფორმა	მაგალითი
has	hɪz	həz əz z	wɪntəz kAm
and	ænd	ənd ən n	bednbrek fəst-
can	kæn	kən kn	itkn flai-
some	sAm	səm sm	gɪvm qsm bred
would	wud	wəd qd d	hɪdl Avɪt
him	hɪm	həm qm m	send qm

რა ხდება სუსტ ფორმებში გაბმული მეტყველებისას? უმახვილო ხმოვანი ბგერები ნეიტრალური ხმოვნით წარმოგვიდგება ან საერთოდ იკარგება. *ʃlʌvz vedʒtəblz ʌn fru:t* – She loves vegetables and fruit. (მას უყვარს ბოსტნეული და ხილი). მუქი შრიფტით წარმოდგენილია ბგერები, რომელთა დაკარგვა ხდება გაბმულ მეტყველებაში

მსგავსი მოვლენა- შეკუმშვა გვაქვს შემდეგ სიტყვებშიც:

- int(e)rest- /intrest/ - ინტერესი
- sim(i)lar - - /simlq/ - მსგავსი
- libr(a)ry - /laibri/ - ბიბლიოთეკა
- diff(e)rent -/difrent/ - განსხვავებული
- t(o)night- /tnait/ - ამ საღამოს, ამაღამ

2. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ისეთი ფონეტიკური მოვლენა, როგორიცაა ინგლისურ ხმოვანთა ნეიტრალიზაცია. თითქმის ყველა ინგლისური მრავალ-მარცვლოვანი სიტყვა შეიცავს ნეიტრალურ ხმოვანს /ə/ schwa. მაგალითად, სიტყვაში *dangerous* /'deɪndʒərəs/ - საშიში, საფრთხის შემცველი, პირველი მარცვალი მახვილიანია და ხმოვანი *a* იკითხება, როგორც /eɪ/, ხოლო მეორე და მესამე მარცვალში ხმოვანი ბგერები უმახვილო პოზიციაშია და ამიტომ ისინი გადაიქცევა ნეიტრალურ *ə* ხმოვნად. ე.ი. ხდება *e* და *ou* ხმოვნების ნეიტრალიზაცია და ისინი წარმოითქმის, როგორც გაურკვეველი ბუნების ნეიტრალური ხმოვანი /ə/, **schwa**. როგორც წესი, ინგლისურ ენაში უმახვილო პოზიციაში მყოფი ყველა ხმოვანი ტენდენციას იჩენს გადაიქცეს ნეიტრალურ schwa /ə/ ხმოვნად. მოვიტანთ სხვა მაგალითებსაც: *salad*, *pilot*, *bonus*, *basin*, *mother*, *cushion*, *personal*, *comfortable*, *chocolate*, *vegetables* *suppose*. ეს ის შემთხვევებია როცა ხდება სიტყვათა შეკუმშვა, რაც ემსახურება წარმოთქმის გაიოლებას.

3. როცა სიტყვათგასაყარზე ორი ერთნაირი თანხმოვანი დგას, გაბმულ მეტყველებაში ერთი მათგანი იკარგება. მაგალითად:

most tender- mɔstendə- ყველაზე ნაზი, რბილი
black coat – blækəut - შავი პალტო
simple law – simplo: - მარტივი კანონი, წესი
big girl /bigə:l/ -დიდი გოგონა

4. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინგლისურ ზეპირმეტყველებაში თანხმოვანთა შორის /t/ and /d/ ყველაზე მეტად განიცდის რედუქციას, როცა ისინი სიტყვაში თანხმოვანთა კომპლექსში აღმოჩნდება. მაგალითად:

Chris(t)mas - შობა
san(d)wich - ბუტერბროდი
Gran(d)mother - ბებია
Han(d)ful - მუჭა (ერთი)
Ho(t) dog > ჰოდოგი

იგივე ხდება სიტყვათგასაყარზეც:

you an(d) me - მე და შენ(თქვენ)
nex(t) man - შემდეგი ადამიანი
mos(t) people - ადამიანთა უმეტესობა

5. სიტყვათგასაყარზე ასიმილაციის შედეგად ხდება გარკვეული ცვლილებები:

d → b - ს m და b- ს წინ:

good man - /gubmən/
good boy /gubboi/ → /guboi/

t → k *that cup* /ðækklʌp/ → / ðækʌp/

n → ŋ *I can go* /ajkəŋgəu/ *ten girls* /ten ɡə:lz/

s → z *goose* /gu:s/ *gooseberry* /gu:zberi/

v → f *have* /h æv/ - *have to* /hæf tə/

6. h-ს დაკარგვა

*You shouldn't h*ave done it. /jəʃudntəv dʌnit /

*Tell h*im / telim/

7. ხშირია ზედსართავი სახელის აღმატებითი ხარისხის დაბოლოებაში თანხმოვან /t/-ს ამოვარდნა. მაგალითად: **smallest** cat- /'smɔ:ləs kæt/, **tallest** castle - /'tɔ:ləs kɑ:sl/- **longest** river - /'lɒŋəs rɪvə/.

8. როცა ორი ხმოვანი ბგერა თავს მოიყრის სიტყვათგასაყარზე, ძნელდება მისი წარმოთქმა. ტენდენცია ჩნდება ამ ორ სიტყვას შორის ჩაისვას მაკავშირებელი ბგერა /r/, /j/ ან /w/. მაგალითად:

/r/ lɔ:rən ɔ:də - law /r/ and order;

ðə mi:diə'rətə bleim - The media /r/ are to blame; -

ɪndiə'rən tʃaɪnə - India /r/ and China

eɪzə'rən æfrɪkə - Asia /r/ and Africa

/j/ ðeɪjə'hɪə _ They /j/ are here

pleɪjə geɪm - play/j/ a game

aɪ jəm redɪ - I/j/ am ready

deɪjən naɪt - day/j/ and night

/w/ blu:wæpl _ blue /w/ apple

aɪwɒntə'wi:t _ I want to /w/ eat.

p li:zdəwɪt _ Please do /w/ it.

səʊw ʌgli - so /w/ ugly

იგივე ხდება ფრაზული ზმნებში:

Do /w/ up! - შეიკარით

Go /w/away!- წადით აქედან

Go /w/ out! - გარეთ გადით

Go /w/ on - go(w) on - გააგრძელეთ

9. სიტყვის ბოლოს ნეიტრალური ხმოვნის ჩასმა ხდება ბოლო ორ თანხმოვანს შორის იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია კლებადი სონორობის პრინციპი ბოლო მარცვალში. ნეიტრალური ხმოვნის ჩასმამ ენას გაუმარტივა სიტყვის ბოლო მარცვლის არტიკულაცია.

gl→gəl	[l:gəl]	eagle - არწივი
pl→pəl	[kʌpəl]	couple - წყვილი
bl→bəl	[dʌbəl]	double- ორმაგი
kl→kəl	[sə:kəl]	circle - წრე
sl→səl	[ka:səl]	castle- ციხესიმაგრე

10. სიტყვათგასაყარზე ხშირად ხდება სიტყვის ბოლო თანხმოვნის სრული ასიმილაცია, რათა გაადვილდეს მომდევნო ბგერის წარმოთქმა. შემდგომ კი ორი ერთნაირი ბგერიდან ერთი იკარგება. მაგალითად:

ə gʊbbɔɪ → ə'gʊbbɔɪ _ a good boy - კარგი ბიჭი

əgʊggɜ:l → ə'gʊggɜ:l- a good girl- კარგი გოგო

gʊbbai → gʊbai _ Good bye - ნახვამდის

θæŋkɡɒd → 'θæŋɡɒd – Thank God! მადლობა ღმერთს !

ə pa:tment → ə'pa:pmənt - apartment - ბინა

11. სწრაფ გაბმულ მეტყველებაში ზოგჯერ ხდება ბგერათა შერწყმა, რის შედეგადაც ვლბულობით ახალ ბგერას, ხშირ შემთხვევაში აფრიკატს.

A. t+s= ts. (ქართული - ც)

B. d+z= dz. (ქართული- ძ)

C. t+j→ /tʃ/ (ქართული - ჩ)

D. s + j → /ʃ/ (ქართული -შ)

E. d + j → /dʒ/ (ქართული -ჯ)

F. z + j → /ʒ/ (ქართული - ჟ)

ვნახოთ ბგერათშერწყმის მაგალითები:

A. ც (t+s)= - ც

The cat's name is Lulu. კატის სახელია ლულუ

It's late. გვიანაა.

He gets up at 6. ის დგება ექვსზე.

B. დ+z= ჯ, -ძ

Draw the blinds. გადაწიე ფარდები

The board's on the wall. - დაფა კედელზეა

It's Dad's armchair. - ეს მამას სავარძელია.

C. t+j → /tʃ/ -- ჩ

Don't you know /dəʊntʃə/

Aren't you ready? - არ ხარ მზად? - /ɑːntʃu/

Can't you help me? - მე ვერ დამეხმარები? - /kæntʃu/

What you know isn't enough. - რაც შენ იცი, არაა საკმარისი. /'wɒtʃu/

Congratulations, my dear! - გილოცავ, ჩემო ძვირფასო. - /'kɒŋgrætʃu leɪfz/

D. s + j → /ʃ/ -შ

This year- ეს წელიწადი /ðɪʃ ə/

I miss you - მენატრები /mɪʃu/

In case you forget - თუკი დაგავიწყდება /keɪʃu/

E. d + j → /dʒ/ - ჯ

Could you help me? - ხომ ვერ დამეხმარებოდით? /kʊdʒu/

Would you mind? - წინააღმდეგი ხომ არ ხართ? /wʊdʒu/

gradual change- თანდათანობითი ცვლილება /grə'dʒʊəl/

F. z + j → /ʒ/ - ჟ

Where's your son? - სად არის თქვენი ვაჟიშვილი? /wɜːʒə:/

Has your mum done it? - ეს დედათქვენმა გააკეთა? /hæʒə:/

Indonesia, Asia, Tunisia - ინდონეზია, აზია, ტუნისი /ɪndəʊ'niːʒə/, /eɪʒə/, /tju'niːʒə/

12. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ თანამედროვე ლიტერატურულ (სტანდარტულ) ინგლისურ ენაში ბგერათა დაკარგვის უამრავი მაგალითი გვაქვს, რომელიც ინგლისურ ენაში მოხდა ამ ენის განვითარების ისტორიის სხვადასხვა პერიოდში. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

kn - k არ იკითხება: know, knock, knife	lf - l არ იკითხება: half, calf
wr - w არ იკითხება: write, wrinkles, wrist	stm - t არ იკითხება: Christmas
mb - b არ იკითხება: climb, lamb, bomb	mp - p არ იკითხება: prompt, jumped, empty
mn n არ იკითხება: autumn, hymn, column	lm - l არ იკითხება: calm, palm, salmon
lk - l არ იკითხება: talk, walk, chalk, folk	bt - b არ იკითხება: doubt, debt, subtle

თუ ყურადღებით დავაკვირდებით ამ ცვლილებებს, მივხვდებით, რომ მოცემულ ბგერათა კომპლექსი (მუქი შრიფტით მოცემული) რთული წარმოსათქმელი იყო და ენამ მოახდინა მათი გამარტივება ერთ-ერთი ბგერის რედუქციით. დღეს ამ სიტყვების ამგვარად წარმოთქმა სტანდარტია.

13. არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოებისას სუფიქსი -s იკითხება

ორგვარად, როგორც /s/ და როგორც /z/. სხვაობას საფუძვლად უდევს ასიმილაციის პროცესი. მაგალითად, bag (ჩანთა) ბოლოვდება მჟღერ თანხმოვანზე -g და დაბოლოება - /s/ ასიმილირდება და მჟღერი ხდება /z/. ამგვარად bags იკითხება /bægz/ (ჩანთები). როცა სახელი ყრუ თანხმოვანზე ბოლოვდება, დაბოლოება -s ყრუვდება. მაგ. cap (ქუდი) - caps /kæps/ ქუდები. აშკარაა, რომ ასიმილაცია აქ ემსახურება წარმოთქმის გამარტივებას.

როგორც ა.ჰილი (ილლ 1958:496) და ლ.ჯოუნზი (Jones 1956: 245-252) მიუთითებენ, “თანხმოვანთა ჯგუფში შემავალი ორი ერთმანეთის მომდევნო თანხმოვანი არ შეიძლება იყოს ერთი და იმავე პოზიციური ჯგუფის წევრი. ასეთ შემთხვევაში ეს ორი ფონემა ერთმანეთისაგან ითიშება ხმოვნის ჩასმით,” რაც უდაოდ ემსახურება არტიკულაციის გამარტივებას. ამას უფრო ხშირად ადგილი აქვს ჰომორგანულ წყვილებში.

14. ხმოვნის ჩასმა ხდება:

ა. არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვისა და კუთვნილებითი ბრუნვის ფორმათა წარმოებისას; ბ.. აწმყო დროის ფორმაში ზმნის ფუძეზე მხოლოდითი რიცხვის III პირის სუფიქსის დართვისას; გ.. t და d -ზე დაბოლოებული წესიერი ზმნებისათვის ნამყო დროში - ed სუფიქსის დართვისას.

სისინა და შიშინა თანხმოვნებზე (სიბილანტებზე) დაბოლოებული არსებითი სახელები დაირთავს არა -s-ს, არამედ -es სუფიქსს, რომელიც იკითხება როგორც /ɪz /.

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

[bʌs] -ავტობუსი

[bʌsɪz] -ავტობუსები

[bʊf] - ბუჩქი

[bʊfɪz] - ბუჩქები

[bentʃ] - გრძელი სკამი

[bentʃɪz] - გრძელი სკამები

მსგავსი ვითარება გვაქვს კუთვნილებითი ბრუნვის წარმოებისას და აწმყო დროის ზმნის ფორმაში მხოლოდითი რიცხვის მე-3 პირის ნიშნის დართვისას.

Hans' ['hænsɪz] Hans's friends are here.

George's ['dʒoːdʒɪz] George's book is new.

['tiː tʃ] - ['tiː tʃɪz] Ann teaches maths.

[puʃ] - ['puʃɪz] He pushes the door.

t, d - ზე დაბოლოებული ზმნების ფუძეზე დართული -ed სუფიქსი წარმოითქმის როგორც [ɪd]: wanted [wɒntɪd], waited [weɪtɪd], mended [mendɪd], added [ædɪd].

[ɪ] ხმოვნის ჩასმით ხდება ვოკალიზაცია, რაც ამარტივებს ამ სიტყვების წარმოთქმას.

განვაზოგადებთ რა ზემოთქმულს, შეგვიძლია ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: ხმოვნით ითიშება ჰომორგანული წყვილები: სიბილანტები ან ალვეოლარული ხშულები. ერთგვარი პარალელი შეიძლება გავავლოთ: [ɪd - d - t] -სა და [ɪz - z- s]

დაბოლოებებს შორის. ორივე შემთხვევაში ენა ახდენს წარმოთქმის გამარტივებას.

თუ ყურადღებით დავაკვირდებით ზემოთ მოცემულ მაგალითებს, დავრწმუნდებით, რომ აღნიშნულმა ფონეტიკურმა პროცესებმა გააიოლა სიტყვათა წარმოთქმა.

15. ინგლისური ენის ბრიტანულ ვარიანტში სიტყვის ბოლოს არ წარმოითქმის

ბგერა/ r /, თუკი მომდევნო სიტყვა იწყება თანხმოვნით. მაგრამ **r - ს წარმოთქმა**

სავალდებულოა, თუ მომდევნო სიტყვა იწყება ხმოვნით. ეს ემსახურება

წარმოთქმის გამარტივებას. მაგ. The teacher was busy /ðə tiːtʃə wəz bɪzi/. აქ / r /, როგორც წესი, არ წარმოითქმის. მაგრამ წინადადებაში - The teacher is busy- /ðə tiːtʃə ɪz bɪzi/. ბგერა r-ს წარმოთქმა სავალდებულოა. r-ს წაკითხვით გაიოლდა წარმოთქმა.

საინტერესოა ცნობილი ენათმეცნიერის **ლეიდფოგედის მოსაზრება** შემოკლებული ფორმების გამოყენების თაობაზე: „რა თქმა უნდა, არც დაუდევრობით და არც სიზარმაცითაა გამოწვეული სუსტი და შემოკლებული ფორმების გამოყენება. შემოკლებული ფორმები და ასიმილაცია ჩვეულებრივი მოვლენაა ნებისმიერი მოლაპარაკისათვის როგორც ბრიტანეთში, ასევე ამერიკაში. როცა უცხოელები ამ ფორმებს არ იყენებენ, მათი მეტყველება ჟღერს არაბუნებრივად და ზედმეტად ფორმალურად.“ (Ladefoged, 2000, გვ. 93).

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამ მოსაზრებას და გვსურს დავამატოთ: ჩვენ მიერ ნაშრომში წარმოდგენილი ფონეტიკური პროცესები, რომლებიც გაზმული მეტყველების თანმდევაა, აშკარად ემსახურება წარმოთქმის გაიოლებას, გამარტივებას. ეს კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ჩვენი სამეტყველო ორგანო - ენა, რომელიც ყველაზე აქტიური და მოქნილი ნაწილია სამეტყველო ორგანოებს შორის, ისწრაფვის ეკონომიურობისაკენ - დაზოგოს ენერგია და დრო და გააიოლოს არტიკულაცია.

ახლა კი ვნახოთ, ქართულ ენაში როგორ მოქმედებს ეკონომიურობის პრინციპი.

1. როცა **სიტყვაში ორი ერთნაირი თანხმოვანი** მოიყრის თავს, სწრაფ გაზმულ ზეპირ მეტყველებაში ერთი მათგანი იკარგება. მაგ:

ომმა დიდი ზარალი მიაყენა ქვეყანას. - ომა დიდი ზარალი მიაყენა ქვეყანას.

მამაჩემი ფრონტის ხაზზე იბრძოდა - მამაჩემი ფრონტის ხაზე იბრძოდა.

დავით მეფე თბილისს მობრძანდება. - დავით მეფე თბილისს მობმანდება

ხაშში რძის ჩასხმა არ დაგავიწყდეს! - ხაში რძის ჩასხმა არ დაგავიწყდეს!

მე ყოველ დილით ვვარჯიშობ. მარცხის გამო პესიმიზმში ჩავვარდი. მე წიგნებით არ ვვაჭრობ.

როცა **სიტყვათსაყარზე ორი ერთნაირი თანხმოვანი** მოიყრის თავს, აქაც ერთი მათგანი იკარგება:

იმათ თვალებში, დახეთ, ინთება ცეცხლი ფარული. (ა. კალანდაძე). იმათვალებში

ჰეი, თქვენ არაგველებო, გაუმადლარო ომითა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და

მუხლის მოდრეკა მომინდა. (ლ. ასათიანი). თქვენ საფლავებთან

ცეცხლად გადიქა ბაკური, მარტო ოხვრად და კვნესადა. (ვაჟა-ფშაველა).

2. **ვითარებით ბრუნვაში ხშირია ბოლო თანხმოვნის - დ- ს დაყრუება** სწრაფ გაზმულ მეტყველებაში. მაგ:

დ → თ

სულხან -საბა ბერად აღიკვეცა. -სულხან -საბა ბერათ აღიკვეცა.

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება (ნ. ბარათაშვილი)

ასევე: გაისად → გაისათ.

3. ლ--ს დაკარგვა:

ლამის სახლში (სახში) შემოიჭრას თუთა , ლამის თავზე გადამისვას ხელი. (ა. კალანდაძე)

რედუცირებულად წარმოითქმის /ლ/ შემდეგ სიტყვებში: უკ(ლ)და, მალ(ლ)ს, სახ(ლ)ს.

4. როცა სახელის ფუძე ბოლოვდება **ს-ზე** და დაერთვის ბოლოსართი- **ში**, **ხდება/ ს/-ს დაკარგვა. მაგ.:** წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარო → წყალტუბოდან ქუთაიში მიმავალი ქარო. (გ. ტაბიძე)

5. **დ → ტ** ქალს მკვდრისფერი დაედო. - ქალს მკვტრისფერი დაედო.

თ → ტ

ქვითკირი → ქვიტკირი → ქვითირი

6. **სდ → ზდ**

მოდის ნახირი, თან მოსდევს (მოზდევს)

ქვრივ მარიამას ფურია.(ვაჟა-ფშაველა).

7. თანხმოვანთა შერწყმა

ტს→ც: მეტს ვერ გეტყვი, ჩემო კარგო. - მეც ვერ გეტყვი, ჩემო კარგო.

გიორგი ლეონიძე, მეტსახელად - გოგლა. -გიორგი ლეონიძე, მეცახელად - გოგლა.

თს →ც : ათ საათზე იწყება გადაცემა.- აცააცე იწყება გადაცემა.-

მეც, მეც წავაგე აფხაზეთს ომი (აფხაზეც)

და შუბლში ტყვია ვერ დავიხალე. (მ. ლეონიძე)

ყველა გრძელ სოფელში წავალთ.(გძელ).(ლეონიძე)

დს→ც: საგმობიც ვიყო, ქედს არ ვხრი, (ქეც)

თავი მდიდარი მგონია. (ვაჟა-ფშაველა).

დზ→ძ: კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი. -(ქეძე) .

ქუდზე კაცი გამოვიდა -(ქუძე) .

ის პოეზიას ჭეშმარიტს ეძებს.(მ. ლეონიძე)

თშ →ჩ: ჯოჯოხეთში დაიწვება ამ ბოროტი კაცის სული.(-ჯოჯოხეჩი)

სიკვდილი სიცოცხლედ ჩამითვალეთ , (სიცოცხლეთ)

აღმართში კვნესით ამიტანეთ, (აღმარჩი)

ვაკეზე მითხარით ზარი.(მ. ლეონიძე).

დშ→ჩ: ბედშავი ქალი - ბეჩავი ქალი

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ვერაფერი სიყვარულია. (ი. ჭავჭავაძე)
(ბეჩი)

აი, ხომ ხედავ, არაფერს ვაკეთებ და

ტყუილად გვერდში გიზივარ.- გვერჩი (მ. ლეონიძე).

ყოველ საღამოს, აგვისტოს ბინდში (ბინჩი).

კიდევაც მიდულს ვაჟასა

მთიური სისხლი მკერდშია.(მკერჩია) (ვ. ფშაველა)

თგ → დგ : ძალი იმის ერთგულია, (ერდგულია,)

ვინაც სწურთნის, ვინც პურს უყრის (ვაჟა-ფშაველა).

გვ→ქვ : გვთხოვა - ქვთხოვა

8. გაბმულ მეტყველებაში ხშირია თანხმოვანთა კომპლექსის გამარტივება -
რ,ნ,ლ, ვ თანხმოვნების დაკარგვით.

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა, ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს(ლადო
ასათიანი)- **ბძოლაში** მოკვდეს

დიდება, ვინც კიდეც გვაბრძოლებს იმედით. -**გვაბძოლებს** (გ. ტაბიძე)

სადღეგრძელო იყოს მისი, ვინც ოცნებით იწვოდა. (გ. ტაბიძე) - სადღეგრძელო.

ჩიტი ბრდღვნად არ ღირს - **ბდღვნად**

საქართველო გაბრწყინდება - **გაბწყინდება**

წავა ლექსი და წაიღებს ახალგაზრდობის ნიშანსა. **ახალგაზრდობის**(გ. ლეონიძე)

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი. (შ. რუსთაველი). **სიბრძნისაა** .

საღამოს ლანდები კრთიან ოთახებში,

დაცვივდნენ ფოთლები ვერსალის ბაღებში.(კოლაუ ნადირაძე). -**დაცვივდნენ**

ჩალურჯებული შენი ფშანებით, შენი ნაწოვით მე ვარ ჯანმრთელი (გ. ლეონიძე)-

ჯამთელი

ორლობეში ჩარჩენილა ჩრდილი, დაჭრილ მხედარს სადაც გუშინ გაუვლია. (ს.

ჩიქოვანი). **ჩდილი**

ყოველ საღამოს , აგვისტოს ბინდში ,(ბინჩი)

აჩრდილი დადის ეზოში დედის. (მ. ლეონიძე) **აჩდილი**

მთებზე თოვლის ნამქერი, ზედ ზოლები მკრთალები. (გ. ლეონიძე)- **მკთალები**

კრთის და ფრთხილებს მგალობლის გული.(მ. ლებანიძე). **ფთხილებს**.

9. **ჰ-ს დაკარგვა:** ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის..., ფოთლები მიჰქრიან - ქარი ქრის...

ფოთლები მიქრიან...

10. **ვ-ს დაკარგვა:** (ვ)უთხარი, (ვ)ულკანი, გა(ვ)ოცდი, შე(ვ)უდექი, (ვ)უამზე და სხვ.

11. **/ლ/ -ს დაკარგვა:** უკლდა, ძაღლს, სახლს, უკლდა - უკდა, სახლში - სახში, მუხლს ქვემოთ - მუხს ქვემოთ, ბოთლში - ბოთში და სხვ.

12. **ჟ → შ:** შეჯირითდნენ გულადები ცეცხლში, ჩაინერგეს მხოლოდ ვაჟკაცობა-
ვაშკაცობა.(ს. ჩიქოვანი)

13. **ს → ზ:** მსგავსი → **მზგავსი**

ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,
საროსა მჯობი, ნაზარდი, **მსგავსი** მზისა და მთვარისა.**(მზგავსი)**. (შ. რუსთაველი).

14. განსაკუთრებით გავრცელებულია ენაში **ორი „რ“-ს დისიმილაცია**.

1 გორ-ური → გორ-ულ-ი

2. იმერ-ურ-ი → იმერ-ულ-ი

15. დისიმილაციის შედეგად შესაძლებელია, დისიმილირებული ბგერა საერთოდ დაიკარგოს. მაგალითად: ერთმანერთი → ერთმანეთი.

16. წარმოთქმის გაიოლება გვხვდება ქართულ ენაში, როცა ხდება **გავრცობითი ა-ს** ჩასმა სიტყვათგასაყარზე თანხმოვანი ბგერების გასათიშად.

- **თქვენთვისა** მაქვს გულის კარი სასიმიდროდ გაღებული. (ლ. ასათიანი)

- **ვაჟკაცსა** გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო.

- შენ კი **სადა** ხარ ამდენი ხანი? რისთვის ან ვისთან? არ ვიცი, არა. (გ. ტაბიძე)

- როცა მზეა და მთვარეა, თავს **არა** ვგრძნობ მარტო. (მ. ქვლივიძე)

- ჩაიმუხლებენ შეხვედრად შენდა **აჭარისა** და გურიის მთები (ა. კალანდაძე)

- ოცი წელია მწყემსად ვარ თუშეთს, **უცხო**სა მხარესა. (ვაჟა ფშაველა)

- სადღაც არწივთა ხმა ისმის **სადღაცა** - ტურის ჩხავილი. (ა. კალანდაძე)

- **ბულბულისათვის** გალობა დაუწუნია რომელსა? (ვაჟა ფშაველა)

- ვწუხვარ, ვეძახი ჩემს სიყმაწვილეს, მაგრამ **არავინ** იძლევა პასუხს. (გ. ტაბიძე)

ეკონომიურობისაკენ ენის სწრაფვას კარგად გამოხატავს ქართულ ენაში **ხმოვანი ბგერის ამოვარდნა**, როცა სახელების ფუძის **კუმშვა და კვეცა** ხდება. სახელები იკუმშება ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში და მრავლობით რიცხვში. კუმშვის დროს ხდება ფუძის შიგნით ხმოვნის ამოვარდნა. მაგ.

- ჩუქურთმა, **ხანჯლით** ამოქარგული. (ტ. ტაბიძე)

- სხვა საქართველო მაინც სად არი?

რომელი კუთხე რომელ **ქვეყნისა**? (ტ. ტაბიძე)

- აქ იჯდა იგი, ამ **კაკლის** ხესთან, მხრებგანიერი, ვით საუკუნე. (ლ. ასათიანი)

- ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში, **მტრის** ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ. (ლ. ასათიანი)

- დადიხარ ახლა **უყავარჯნოდ** და უგამყოლოდ შენ **წუთისოფლად** დარჩენილი უთანატოლოდ.. (ი. აბაშიძე)

- დაიწყო **ცისკრის** ზარების რეკვა (ა. კალანდაძე)

- ქარო, მოიტა **ატმის** ყვავილი, ქარო, **ფოთლებიც** შემომაყარე. (ა. კალანდაძე)

- მზეს ეფიცება **ეკლის** ფოთოლი (ა. კალანდაძე)

- გამხნევებულმა ამისგან, **მღვდლებმა** ამართეს ჯვარია. (ვაჟა ფშაველა)

კვეცა სიტყვის ბოლო ხმოვნის დაკარგვას გულისხმობს, რაც ხდება ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში და ზოგჯერ მრავლობითის ფორმებშიც.

- სიკვდილის გზა არაა არის ვარდისფერ **გზის** გარდა. (გ. ტაბიძე)
- აქ **აზიის** და **ევროპის** ხიდად, საქართველო ოქროს საწნახელია. (მ. ლებანიძე)
- დიდხანს უცქერდა და, რა მოესმა თავისის **მომხმის** ცხენის ფეხის ხმა... . (ი. ჭავჭავაძე)
- შენ - ერთს, შენ ვერ გთმობ **სამარის** კარად. (ი. აბაშიძე)
- და მეც შენსავით მქონდა გონება... კახური **ღვინით** გაბრწყინებული. (ლ. ასათიანი)

17. რედუქციის საინტერესო მაგალითია **სიტყვა 'ამბავის' რედუქცირება**

მაგ.: ამბავი - ამბის, ამბით, ამბად, ამბები

ამგვარი **ამბის** მოწამე

შევდრკე, დავმუნჯდე ლამისა. (ვაჟა ფშაველა).

13. ზოგჯერ ხდება **რ ხმოვნის დასუსტება და გადასვლა - გ თანხმოვანში:**

მაგ.: მინდორი - მინდვრის, მინდვრით, მინდვრად;

მაწონი - მაწვნის, მაწვნით, მაწვნად.

- გავხედე, **მინდვრად** მოცურავს შავი ვეშაპი ქშენითა (ვაჟა ფშაველა).
- **მინდვრები**, ქართველის **მინდვრები**, ქედები მხარგაშლილები (ა. კალანდამე)

14. ზმნა 'არის' რედუქცია ქართულში ეკონომიურობისკენ სწრაფვის კიდევ ერთი მაგალითია. ზმნა **არის** ნაცვლად შემოკლებული ფორმის- **ა-**ს გამოყენება ძალზედ ხშირია ქართულ ენაში.

- ხომ **ლამაზია** ეგ საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა. (ლ. ასათიანი)
- კაცის გული **ისეთია**, ვით მორევი შავი ზღვისა(ლ. ასათიანი)
- და ენა მთისა სიმტკიცით **მსგავსია** კლდისა სალისა (ვაჟა ფშაველა)
- ქსნის ძველ ციხეზე გუგუნებს ქარი, მისთვის **ღიაა** ყოველი კარი. (ა. კალანდამე)
- **საბრალთა** მხოლოდ სული ობოლი (ნ. ბარათაშვილი)
- მაგრამ სულ **სხვაა** სიყვარული უკანასკნელი (გ. ტაბიძე)
- ცა **ისეა** მოწმენდილი, ცა **ისეა** შეუმკრთალი, რომ ანგელოზს დაინახავს

მოდარაჯე კაცის თვალი. (გ. ტაბიძე)

შევადარებთ რა ფონეტიკურ პროცესებს, რომლებიც ახასიათებს ქართული და ინგლისური ენის სწრაფ გაბმულ მეტყველებას, აშკარა ხდება, რომ ორივე ენას ახასიათებს სწრაფი არტიკულაციის გამარტივებისაკენ, რაც ეკონომიურობის პრინციპზე მიუთითებს.

კვლევის შედეგები:

ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებამ დაგვანახა

• /ə / ნეიტრალური ხმოვანი უნიკალური ფონემაა. მისი არსებობა განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ინგლისური ენა მახვილსაზღვრულია. ქართულ ენაში კი ასეთი ხმოვანი არ არსებობს. ქართული ენა მარცვალსაზღვრული ენაა.

ენობრივი უნივერსალიები

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ინგლისური და ქართული სტრუქტურულად განსხვავებული და არამონათესავე ენებია, მათ შორის ბევრი მსგავსებაცაა, რაც, სავარაუდოდ, ენობრივ უნივერსალიებს უნდა მივაკუთვნოთ.

სწრაფ მეტყველებაში მიმდინარე ფონეტიკურ პროცესებს საფუძვლად უდევს ენის მიდრეკილება „ეკონომიურობისაკენ“, რაც იმას ნიშნავს, რომ გაბმულ მეტყველებაში მიმდინარე ყველა ბგერათცვლილება, ეს იქნება სიტყვის შიგნით თუ სიტყვათგასაყარზე, მიზნად ისახავს ზეპირი მეტყველების გამარტივებას, წარმოთქმის გაიოლებას. კერძოდ:

• ორივე ენაში გვხვდება ისეთი ფონეტიკური პროცესი, როგორიცაა: ხმოვანი ბგერის რედუქცირება ან სრული რედუქცია. ამის მაგალითია **ინგლისურში** ძლიერი და სუსტი ფორმების არსებობა, სრული ხმოვნების ნეიტრალიზაცია უმახვილო პოზიციაში.

- **ქართულში** – სახელების კვეცა და კუმშვა,
- ზმნის - **არის** რედუქცირება ა-დ.

• ხმოვნის ჩასმა სიტყვის შიგნით ან სიტყვათგასაყარზე თანხმომავანთა კომპლექსის გათიშვის მიზნით, ქართულში გავრცობითი -ა, ინგლისურში სიტყვათგასაყარზე j, r, w, j ბგერების ჩასმა.

დასკვნა: ორივე ენის ზეპირ დისკურსში მიმდინარე ბგერათცვლილებები გამოხატავს ენათა სწრაფვას ეკონომიურობისაკენ, ზეპირი მეტყველების გამარტივებისაკენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ინგლისურ და ქართულ დისკურსში მიმდინარე ფონეტიკური პროცესები განპირობებულია ინგლისურ და ქართულ ენაზე მეტყველ კომუნიკანტთა ლინგვო-კულტურული კოდით და ფსიქოლოგიურ-ემოციური ხასიათით.

ლიტერატურა და ვებრესურსები

1. Crystal, D. (1980). *A first dictionary of linguistics and phonetics*. London: Deutsch.
2. Crystal, D. (2003). *A dictionary of linguistics and phonetics (5th ed.)*. Cambridge, MA: Blackwell
3. Hill A. (1958): Introduction to Linguistic Structures. New York. Harcourt, Brace and Co.
- 4.. Hewings Martin, Pronunciation practice activities, Cambrid
5. Kruisinga E. (1925): Handbook of Present Day English. pt. 1. Kemink en Zoon Utrecht.
6. Ladefoged, P. (2000). *A course in phonetics (4th ed.)*. New York: Heinle and Heinle.
7. Nordhyem B. (1960): The Phonemes of English. Copenhagen: Gad.
8. O'Connor J.O. Trim J.L. (1953): Vowel, consonant and syllable - a phonological Definition. In: Word. vol.9.#2
9. Saporta S. (1955) : Frequency of consonant clusters. In: Language. vol.31. # 1.
10. Siversten E. (1961): Segment Inventories for Speech Synthesis. In: Language and Speech. vol. 4. # 1.
11. Underhill, A. (2005). Sound Foundations. Oxford. Macmillan Publishers. LTD
12. Zwicky A. (1972): Note on a phonological Hierarchy in English. In: Stockwell and Macauley. Historical Linguistics in the perspective of generative grammar. University of California Press. Berkeley.

ინტერნეტ რესურსები:

<http://www.teachingenglish.org.uk/think/articles/pronunciation/recent>
<http://eslnews.org.nz/>

Rusudan Gvilava, Irma Rusadze

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

rusudang@gmail.com; irmarusadze@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.15>

The principle of economy on the phonetic- phonological level (in English and Georgian languages)

Abstract

The work "Principle of economy on phonetic-phonological level (in English and Georgian languages)" is dedicated to a very relevant issue in linguistics. Sound changes such as assimilation, sound reduction, sound coalescence, etc are deeply and thoroughly studied in traditional linguistics. However, it should be noted, that the main reason that causes these sound changes is left behind. We have researched this issue in the context of connected speech in the two structurally different English and Georgian languages.

The object of research was „text“ and the ongoing phonetic processes in it in fast connected speech, since the behavior of a sound pronounced in isolation and in the neighbourhood of other sounds differ a lot.

Based on the research we came to the conclusion that the phonetic processes in fast connected speech are based on the tendency of the language to "economy", which means that all sound changes in connected speech, be it within a word or at the juncture, are aimed at simplifying oral speech, making pronunciation easier.

Using the contrastive method of investigation we stated the similarities and differences of phonetic changes in oral connected speech in the two languages .

The research showed that the English language has more tendency to economy than the Georgian language . In our opinion this is caused by the existence of neutral vowel -schwa in English, due to which the words undergo compression in connected speech, which in turn determines the rhythmicity of the English language.

Key words: The principle of economy, phonetic-phonology